ვისაც სურს, რომ ალლაჰმა იხსნას იგი განკითხვის დღის გასაჭირისგან, გადაუვადოს ვადაში გაჭირვებულ მოვალეს, ან სრულიად აპატიოს მას ვალი

აბუ ყათადამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცა, რომ ის თავისი მოვალის ძიებაში იყო, მოვალემ მისგან თავი დაიმალა, თუმცა ბოლოს აბუ ყათადამ იგი იპოვა. მაშინ მან უთხრა: მე გაჭირვებული ვარ, აბუ ყათადამ ჰკითხა: ალლაჰის სახელით ფიცულობ? მოვალემ უპასუხა: ვფიცავ ალლაჰის სახელით. მაშინ აბუ ყათადამ თქვა: «ჭეშმარიტად, მე გავიგონე, რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ვისაც სურს, რომ ალლაჰმა იხსნას იგი განკითხვის დღის გასაჭირისგან, გადაუვადოს ვადაში გაჭირვებულ მოვალეს, ან სრულიად აპატიოს მას ვალი»

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

აბუ ყათადა ალ-ანსაარი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ეძებდა თავის მოვალეს, რომელიც მისგან იმალებოდა. ბოლოს მან იგი იპოვა და მოვალემ უთხრა: მე გაჭირვებული ვარ და არ მაქვს ქონება, რომ შენი ვალი დაგიბრუნო. მაშინ აბუ ყათადა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ალლაჰის სახელით დააფიცებინა მას: მართლა არ გაქვს ქონება? მოვალემ ალლაჰის სახელით დაიფიცა, რომ ის სიმართლეს ამბობდა. მაშინ აბუ ყათადამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: მე მოვისმინე, რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: ვისაც სურს და გაუხარდება, რომ ალლაჰმა განკითხვის დღის გასაჭირისა და საშინელებებისგან იხსნას, მან უნდა გაუადვილოს მდგომარეობა გაჭირვებულ მოვალეს – ვადის გაგრძელებითა და გადახდის გადავადებით, ან ვალის ნაწილის ან მთლიანი დავალიანების პატიებით.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/4195